\_0306006" ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

№ 198

სამშაბათი, 12 სექტემბერი, 1900 წ. mana Agos: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

85%000 @56585%08@5@

და განცხადებათა დასაბეტდად ენდა მიმპართონ რედაქციის და წერა-კითხ გამავრც, საზოგადოების კანცელარიას ფასი გახცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

0306006" 60ლეფონი № 227.

## 0 1 0 8 8 8 ᲛᲘᲮᲔᲘᲚ<u>Მ</u> ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ განაახლა აგაფგუოფთა გილეგა.

დილით 12-1 საათამდე და სალამოთი 6-7 საათამდე. (5-5,-3)ნიკოლოობის ქუჩა, № 21.

# ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ტუთაისის გუიკინიის ძეაიოე იუფეთა აათაველ აითანალისია. — აბამია სახოდები, შარშები, თეთრი და ფერადი ქაოვილები მალისა და აა-ცის ტანისამოსის ისე საბრზულები.აქავის ბოვილები მი ო იყიდება ქუ-თაისში, წერეთლიაბიო ნთსო და საპირმ,ი გნის მალაზოფწთბით. მმარ. ამხ. 6. წერეთელი

# ქუთაის ში

ம் தெத்தின் மக்களை

## .0 മെവായനാല് വാട്ടെ വാട്ടി

Რ๛Დგანაც წელს **გოწ**აფი**თათვის რვეულებს ვამზადებთ** ძუთა**ი**სში**ვე** და შემზიდება ნაკლებ ფ სიდ გვიჯდება, ამიტომაც გამაუხჯობმსმთ ხა-რისხი რმმულის ძალალოისა, რომლის მიუხედავად ფასი იგივეა. მსურველთ შეუძლიანთ შეკვეთა ყოველგვარის ხაზებისა და გვექმნება უკლებ ლივ ყოველნაირი რვეულები. (10—164—6)

თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის დიღმის სარდაფებში

# 3868 11, 3020678368

Vonggogber ogobergdob.

მსურველთ შეუძლანთ მიჰმართონ მოურავს ი. ა. გუნცაძეს სოფ(5-184-1)

# 





12, ალექსახდრეს ბადის აიოლაიათ. ქრა-კერვის და ხელ-საქმას სახელოსნოს გამგე ანნა მერკგილამისა. (10—178—2 ©**xxxxxxxxx**xxxxxxxxx

## der by ogengos do engos

ა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო

# Bymmodo

ამა წლის 22 სექტემბერს მოხდება. არის 10 ნახევარი სტიპენდია სახელმწიფო. მსურველთ წინდაწინვე უნდა შეიტანონ სკოლის გამკის სახელობაზედ თხოვნა და საბუთის (3-177-2)ქალალდები.

golog handy laddy addl Bahogol მსოფლიო გამოფენაზედ ნაწარმოებ. თა ანუ ბუნებით სიმდიდრის შესა <sub>ხებ</sub> ქატთველთა მემამულეთაგანს, ვოხოვთ მიჰმართონ რაფაკლ ისარ- 9-10 საათ.

ლოგს, ქართველთა მემამულეთა წარ. ომადგენელს პარიჟის გამოფენაზედ. Raphaël Isarloff Paris, rue des Fcoles, 40. (16-5.-14)

#### \$3000000 30M300 67599A99692W

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე 80 m 0 0:

3. 0. **პიპ**ინაძე — კბილის სნეულებანი, 8-10 საათ.

80600 8000356088000 -6n6 ვებისა და წამლობა ელექტრონით

8. J. 3MJ6M36Jn-30603060, ბავშვებისა, (ყვავილის აცრა) და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევა 50 10-11 boson.

 ა. გულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა - 10 - 11 საათ

ი. პ. ბხალშენიშვილი \_ კბილის სნეულებანი. 10<u>—</u>2-მდის.

8. 8. **წერეთელი** — შინაგანი დ ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გელეგანი შვილი — ნერვეპისა და შინაგანი. 121/2-11/2 საათ ა. 6. შატილოვი — თვალისა 12

\_1 საათ. 3. ლ. მარამ**მიჩი**, სადოსტაქ-6m. -121/2-11/2 boom. bod dodo

გით 3-4. ი. დ. გეგთაგეგოვი — სიფილი-

სისა, კანისა და საშარდესი  $-1^1/_2-2$ . 60203mmn: ი. ნ. თუმანიუვილი — დედათა

სნეულებანი - 5 - 6 საათ. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთა-

ხები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები – მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ლამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

Jas, bajamanatal Jas, Viston საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდამირ).

ტელეფონი № 274. დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ 8020356073020

#### -ACESSA UPPOS UPPOSPUS 2760W

ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა. ത്രത്താനു വാട

გ. ა. 633363690360. 11-12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფო

J. D. KAMASSEA. 9-10 boo. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ა. ი. გაგანასიანცი — დილის 11-12 ს. ქალთა და ბავშვთა სე ნით ავადმყოფებს.

n. m. 36m 03603080. 12-1 6. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

3. 3. 356330605600. 1-11/a საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

LOCOSMMSOM: n m. 36me3603060-5-6 bas თამდე.

3. 6. 333JM.8630. -6-7 boom. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტრო. ტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. ნამასარდიანი. 71/2-8

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციები-מרבר בחלמה ב-נותר

m. o. 3633600330-11-1 გაუკეთებს სახლში მსურველთ "მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამარ- პენდიის დანიშვნა და სხვანი.

თავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტო რი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница-д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Вороцову.

3 3 6 6 9 6 3 40b 40acen como 100000 40b **წინამძღვ⊬იშვილის**ბ ლითა დილის ცხრა საათიდგან ნაშუადოგვის სამ საათამდე. კანტორა იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, მეორე სართულში, (15-12)6 bomn № 2.

### 160FC 1020RE o. g. Vormoren dzama

იღებს ავადმყოფებს დილით 9-დგან 2 საათამდე და სალამოთი 5-7 სა-

მიხეილის ქუჩა, № 32.

# spsawu sggsdu

\*\* კავკასიის მთავარმართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს დღეს, 1 სექტემბერს, მოელიან ტფილისშა.

\*\* ტფილისის სამოსამართლო პალატის მე-2 სისხლის სამართლის დეპარტამენტში გუშინ, 11 სექტემ. ბერს, დანიშნული იყო განსახილველად საქმე თავ. შიხი ტუსიშვილისა, ვლად. ბარათაშვილისა, ისიტაშვილისა და ალექსანდრე ტერ შმოვანოვისა, რომელთაც აზნ. და. ით გაბაშვილის მოკვლა ჰბრალდებათ, მაგრამ, რადგანაც თავ. ბარა თაშვილის ვექილი ბ-5ი გოლშტეი ნი ავადმყოფობისა გამო არ გამოცხადდა, საქმე 30 ოქტომბრისათვის

\*\* 1901 წალს სასოფლო-სამე-ურნეო გამოფენის პროგრამის შესამუშავებლად უკვე აღნიშნულთ გარდა დანიშნულ იქმნენ: ტფილისის ათავად-აზნაურო ბანკისაგან ანტონ ნ.ფურცელაძე; ქალაქ ბათუმის გამგე ობისაგან გამგეობის წევრი ბ-ნი ივანოვი; ამათ გარდა ტფილისის ბრმათ სკოლის მმართველი ქ-ნი ბუგაევსკი-სა და დუშეთის მაზრის თავად-აზნა-ურთა წინამძღოლი ბ-ნი ყარანგოზიშვილი.

\* ხუთხაბათს, 14 სექტემბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში კრება ექმნება ქალაქის სასწავლებელთა კომისიას, რომელიც, სხვათა შორის, განიხილავს შემდეგს საქმეებს: 1) არჩევანი სამლთო სჯულისა და ადგილობრივ ენების მასწავლებლებისა 2) დაწესება სასაწავ ლებელთა მკურნალის თანამდებობისა, 3) მოწერილობა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა ავლაბარში პროგიმნაზიის ნაცვლად სამრეწველო სასწავლებლის დაარსების სახებ & 4) ხარკოვის უნივე. რსიტეტში ლორის მელიქოვის სახელობის სტი

\* ბელგიის უსახელო საზოგა. დოებამ გუშინ, 11 სექტემბერს, წარადგინა 100,000 მანეთი ქალაქის გამგეობაში იმ 600,000 მანეთის ანგარიშში, რომელიც უსახელო საზოგადოებამ უნდა მისცეს სესხად გამგეობას ქალაქის ქუჩების მოსაკირ-Fymogoo.

\*\* კომიტეტმა, რომელსაც დაgomgomma 3 fmb co bobomba bobmab ასაშენებლად ვერის ხიდთან მიწა დაეთვალიერებინა, გუშინ-წინ, 10 სექტემბერს, უკვე ნახა და მოიწონა. მალე განზრახულ შენობის გეგმას და ხარჯთ-აღრიცხვასაც შეიმუშავე-

\*\* ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ ამ წლის 25 იანვარს უმაღლესად დამტკიცებულის მინისტრთა კომიტეტის დებულებით გარდაწყვეტილია: 25 მანეთიანი, თუმნიანი და ხუთ-მანეთიანი ქაღალდის ფული 1887 წლისა და 100 მანე. თიანი (ცისარტყელას ფერი) 1866 წლისა შეიძლება 1902 წლის 1-ლ იანვრამდე კიდევ გამოსცვალონო.

\* კავკასიის ზოგიერთა დედა. ია სასწავლებლისათვის მთავრობას 150,000 მან. კრედიტი დაუნიშნია შემწეობად.

\*\* ტფილისის საკომერციო სასწავლებელში შესასვლელად 580 თხოვნა შეუტანიათ. მაისში მომხდარ გამოცდის დროს მიიღეს სულ 300 ბავშვი, სულ-კი 460 ბავშვის ადგილი აქვთ სასწავლებელში. მაშასადამე ახლა 160 თავისუფალი ადგილი კიდევ არის, რომლებიც ახალ მოწაფეებით იქმნება შევსებული.

.\*. გაზ. "ნოვოე ობოზრე-ნიის" სიტყვით, 1-ლ ნოემბრიდგან ტფილისის საკომერციო სასწავლებელში სალამოს კურსები დაიწყება. კურსებზედ ორთავე სქესი**ს** ყუ**რის**მგდებლებს მიიღებენ და ანგარიშისა, ბუხგალტერიისა და სავაჭრო კორრესპონდენციების შესახებ წაუკითხვენ ლექციებს.

. გუშინ, 11 სექტემბერს, ტფი-ლისის ოლქის სასამარულომ განიხილა საქმე განჯის გუბერნიის, ყაზახის მაზრის, მცხოვრების იაკობ, იგიმარტიროს, ზაქარიას ძის ადამოვისა, რომელსაც ეკკლესიიდგან ვერცხლით მოქედილ ხარების მოპარვა ჰბრალდებოდა. საქმე ამ ნაირად მომხდარა. ამა წლის 31 მაისს ტფილისში, როდესაც სურფ-გეურქის სახელობის სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიაში წირვა გამოსულა და თითქმის ეკკლესიაში აღარავინ დარჩენილა, ადამოვს ტრაპეზზე შეუმჩნევია სახარება, აულია და პალტოს ქვეშ ამოუფარებია; ეს შეუმჩნევია ეკკლესიის მნათეს ხეჩატუროვს, რომელსაც პოლიციის დარაჯის დახმარებით ადამოვი იქვე დაუჭერია. ამ საქმის გარჩევის დროს სასამართლოში დაბარებული იყო ოთხი მოწამე, მაგრამ არც ერთს არ ეკითხა, რადგანაც თვით ბრალდებულმა აღიარა თვისი დანაშაული. macogles 3 goodgle: had goodg რომ სახარება მოიპარეო ადამოვმა განაცხადა: რამდენიმე თვე უალაგოდ დავეთრეოდი, ვერსად ვერ ვიშოვნე ადგილი, რომ ჩემი შრომით თავი მერჩინაო; არც ერთმა ნათესავმა თუ ნაცნობმა არ Podnysho, had handy aconma amy ცათ ჩემთვის და მით ორიოდ გამო რჩენილ გროშით თავი შემენახა, ოთხს დღეს მშიერი ვეგდე და ისე გამიქირდა შიმშილისაგან, რომ ეკკლესიიდგან სახარება მოვიპარე. მინდოდა გამეყიდა, რომ ორიოდე გროშით Book om and Jamen amplob bolodo რთლომ გუშინ, 11 სექტემბერს, გა ნიხილა რა ეს საქმე, დაადგინა: ჩამოერთვას იაკობ ზაქარიას ძეს ადამოვს ყოველივე უფლება-უპირატესობანი და გაიგზავნოს ციმბირის შორეულს ადგილებში დასასახლებ

\* უწმ. სინოდიდგან მოვიდა ამ დღეებში დამტკიცებული გეგმა ტფი ლისის სასულიერო სემინარიის ახალ შენობისა. ეს შენობა ვერაზედ იქნება აგებული საქართველოს სამხედრო გზის დასაწყისში; დაჯდება სულ 260 ათასი სანეთი, რომელსაც სინოდი სესხად აძლევს სემინარიას სესხი გადახდილ იქმნება იმ ფულიდგან, რომელსაც სასულიერო მთავრობა აიღებს სემინარიის ახლანდელ შენობის გაყიდვიდგან.

.\*\* როგორც "ნოვ. ობოზრ". სწერს, გ-ნი ქიქინაძე, რომელიც ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის გამგედ იქმა დანიშნული, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მმართველობას ერევნის სახალხო სკოლების დირექტორად დაუნიშნავს.

\*\* თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორის ადგილზედ, სხვებთა შორის, სტავროპოლის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპე-Jonahl 2-6 ogsom-Jagmadgle slosby-

ლებენ.

\* გათუმის ქალაქის თვით-მმართველობას განუზრახავს ბათუმში უძრავ ქონებათა დამზღვევი საურთიერთო საზოგადოება დაარსოს. საზოგადოების წესდება წარედგინება განსახილველად საბქოს.

\*\* განზრახულია შემოღებულ იქმნას სავალდებულო სწავლება ხე ლოსანთა შეგირდებისათვის. ეს კი ითხვა ამ ჟამად შინაგან საქმეთა სა მინისტროშია წარდგენილი განსა ხილველად.

\*\* როგორც შევიტყეთ, კოლხი დელის (თ-დ გრ. დადიანის) ლექსები შეუკრებიათ და ამ ჟამად თურმც ცენზურისაგან ნება-რთვას ელიან, რომ გამოაქვეყნონ. შემკრები და გამომცემელი ვ. ჭილაძეა.

\*\* სენაკის მაზრის სოფელ თეკლა თიდგან სწერენ "ნოვ. ობოზრენიე".ს, ര്ക്ക് 27 sagolowl, esall 2 bssortje 6 შეიარაღებული კაცი დაეცა ადგილი გრივ მცხოვრების ბახვა თევზაიას სახლს; 4 გარშემოერტუა სახლს, ორნი სახლში შევიდნენ და თევზაია გაძარცვეს.

\* "jsgjs "-l ejzjoo sogmodobj ბენ ქ. ეუბიდგან, რომ ხეთშაბათს, 7 სექტემბერს, ღამის 11 საათზედ იქაურ საპურობილედგან მთელი კამერა ტუსადთა გაიქცა, რომელთაც კატორ გაში გაგზავნა აქვთ გარდაწევეტილიო ერთი ტუსადი ხიშტებით დასჭრეს მცვე. ஆர்சிக, நன்னை வகுவிய நிறுக்கை உக்கிருந்துக் კამერაში, დანარჩენნი კი გაიქცნენო.

\*\* 38 മുത "ര്ക്കാരി" ന്യൂട്ടിച്ച് കൂട്ടി (Nº 490) 6 തിര്ക്ക് ഉടിട്ടേറ്റുമ്മ് റജരട ხონელის სურათია მოთავსებული.

\*\* ამას წინად ვწერდით, რომ ქალა-ქის მოივკარადრეთ მაკსავარიანმა და სტუპნიკოვმა განცხადება წარუდგინეს გამგეობას, რომელშიაც ამბობდნენ, was glose edeop regele gray გელათის ქვის მოტანა ქალაქის ქუჩების მოსაკირწელავად არ შეგვიძლიანო. ეხლა ქალაქის გამგეობას ამ განცხადებით მოიკარადრეთა პირობა დარდგეულად ηρεδες, κοίνοςοίνες θαοχικικήδο 400 მანეთით დაუკარიმებია.

. ქალაქის გამგეთბამ დააჯარიმა 300 მანეთით ტფილისის მოქალაქე აბრამ არუთინოვი, რომელსაც ქალაქისაგან იკარით ქქონდა აღებული ანდრეეგის ქუჩის მოკირწევლა და რომელმაც დროზედ არ შეასრულა სამუშაო.

\*\* ხვალ, 13 სექტემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში კრება ექმნება იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქეს ქალაქის საბწოსავან ქალაქის ცეცხლის მქრობელ რაზმის მოწეობა-მომართვის Vsjag.

"\*" წყალში განსაცდელისაგან მხსნელ რუსეთის საიშპერატორია საზოგადოების ტფილისის განყოფილების მიერ მუშტაიდ ში გამართულ სახალხო სეირნობი დგან აგვისტოს შემოსულა 1319 მან. 95 კ.; აქედგან ხარჯი ყოფილა 668 მან. 95 კ. და დარჩენილა 651 მან, საზოკადოების ოლქის სამშართველო მადლობას უცხადებს ოგორც იმათ, ვინც სეირნობის გამართვა ში მონაწილეობა მიიღო, აგრეთვე რედაქ ციებს "Кавказъ" ისას, "Новое Обоз." იესას, "Тифл. Л."-ისასა, "მშაკსა" და ივერიას", რომელთაც განცხადებები უფაოდ დაუბეჭდეს.

"\*" წარსულს აგვისტოში გადამდებ სე ნით ავად გამხდარა ტფილისში: ყელჭირვებით 1, მუცლის სახადით 2, კანის სახადიი 1, ხუნაგით 4 და კეთრით 1.

# Tosgs to pusition

(მოწერილი ამბავი)

ს. გუბი, 3 სექტემბერს. ს. გუბში omen be (solesoftwassengs) so good ივეებში ორი საეურადღებო საქმე მოხes: Bokggeo ol, Ked histol Feel დავის შემდეგ, როგორც იქნა, შეთანხმდა სოფელი და ამოირჩია სასკოლო ეზო სოფლის შუა ადგილას, გადიტანა იქ სასკოლო სახლი, რომელიც სამი წელიწადია ნასუიდი ქქონდა და გერ-კი დაედგა და გერ მოეხმარებინა ადგილის უქონლობით. დღეს ეს სახლი საზოკადო ადკილზედ შენდება და ამ მცირე სახში სწავლა სოფლის საკუთარსა და არა დაქირავებულს შენთბაში დაიწეება. მეორე საქმე სოფელში გზების გაკეთებაა. რაც ჩვენში მამასახლისობა დაარ სდა, აგერ ოცდა-ათ წელიწადზედ მეტია; იმ თავიდგანვე უფიქრიათ ჩვენ-To a Got assamples, deserted Del Talega დღემდის აგერ რამდენი წელიწადია, საქმისთვას გა ალგას ადა ადარავის აკმისთვის ეზრუნა, ამის გამო მას შემდეგ მოეთლებული გარდა იმისა, რომ თითონ გზები გაფუწდა, გზის პირის მცხოვ. რებლებმა ისე შეავიწროგეს გზა ადგილის სიხარბით, რომ ბეგრ ადვილს ქვევითა კაცსაც-კი უძნელდება გვერდი აუხვიოს გზაში მიმავალს ურემს, არამც თუ ურმებმა ურემს აუქციოს.

უგელგან ქვემთ იმერეთში გააკეთეს სოფლებმა გზები, მაგრამ, აკი მოგახსენებთ, ჩვენ არა გვეშველა-რა: აქაურს გზებს თუ ქვა და ხრეში არ დაეუარა, ეთველ საშუალებას იხმარენ, რომ საქმე

უკანასკნელთა შორის არიან კატორგიდ- ბსე მბალარში (უქვო ადგილებში) გზა გან გამოქცეულნი ნეიმატი და უაბარი. არა კეთდება. ჩვენში-კი დღემდის ადგილობრივ მოხეელებს, განსაკუთრებით த் திரை மிக்கி மிக்கி மிக்கி ულს, არ უფიქრიათ ეთაგებინათ და გზები შეეკეთებინათ, ორივე მოხსენებული საკეთილო საქმე ს. გუბში ახალმა ხონის ბოქაულმა თ. ფ-გამ ითავა და იმედია დაამთაგრებს კიდეც. განსაკუთრებით სოფლის გზებს ეჭირვება ეურადღება, რადგანაც, როგორც ზე მოგახსენეთ, უველა ცდილობს Ossl sogness dasgeal es osgoll ზოს მიჭმატოს; ამითი გზები მეტის მეტად გიწროვდება და სგლა შეუძლებე-

P. S. sage bado Pagofagos, jobol les Bogs of the state of the state of the მეს აქაურმა კუხ-კუბის გამსესხებელშემნასგელმა ამხანაგობამ წმინდა მოგებიდგან 150 მანეთამდის შესწირა. დღემ ຂວາ ປ່າ ຜູງເຂດ ຽຽງປາ ເສ ປີຕະໄປປະຊຸດ ປະຊຸດ babsdalis es Pastajajdalingali esabstags ოც-და-სუთ მანეთამდის, რადგანაც სო ფელი გზის კეთებას შეუდგა.

6. %.

# Mapurloso

ჩენმთე. "რეიტერის სააგენტოს შანჭაიდგან ატუობინებენ: "როგორც უკვე შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, ჩილისა, Jsbonfals, Isthals, bobstals es Bjკიანგის პროვინციებში ჩინელებს მოუკლავთ 93 კაცი, ამათგან 28 მამაკაცი იეთ, 40 დედაკაცი და 25 ბავშვი. ამათ გარდა 78 კაცი და 17 ბაგშვი სადღაც უკვალოდ დაიკარგა, არ იციან, ცოცხლები არიან, თუ ჩინელებმა ისინიც დახოცეს. ეველა ესენი პროტესტანტთა მისიებს ეკუთვნოდნენ. კათო ლიკეთაც არ დაადკა კარკი დღე. ჯერ-ჯერობით უწეიან, რომ ჩინელებს კა. თოლიკეთა მისიებში მოუკლავთ 5 ების კოპოსი, 28 მღვდელი და 2 და მოწუალებისა. ამას გარდა 20 სხვა კაციც ashtolis es albhol semgobeogogo ეკლავთ. მარტო ივლისის კანმავლობალავთ 15-დგან 20 ათასამდე მონაი ლული ჩინელი. მოკლულთა სიაში მარ ტო იმათი გვარები შეიტანეს, მოკვლის ამბავიც დანაშდვილებით შეი-ტეეს. ჩინელებმა სხვანიც გამოასალმეს იცოცხლეს, მაგრამ იმათი გვარი დ სახელი არ იციან".

— ჩინეთის საქმეების გამთ გაზეთი Post . o byjeh: " wasperorg speak ejds ol eej, saejlis listjædfogan წარმომადგენელნი მოლაბარაკებას დაიწ ეობენ ჩინეთის იმპერატორის წარმომადგენლებთან, და მაშინ უნდა გამო ირკვეს, მართლაა ჩინეთის მთავრობ მოწადინებული თუ არა დააკმაყოფილოს სახელმწიფონი და ამასთან იღონოს რამ ისეთი, რომ შემდეგში უცხოელებს განსაცდელი ადარ მოელოდეთ ჩინეთში ძალიან ვშიშობთ, რომ მოლაპარაკებამ முறை ம்கம் க் தம்குக்கம் இத விலக் அறை დაუსრულებელ საქმედაც არ გადაიქცეს უბრალო მოლამარაკებაც კი ჩინელებთან დიდ დროსა და მეცადინეობას მოით ხოვს. ხოლო ეხლა, როდესაც ჩინეთი ესოდენ ჩაება საქმეში, უფრო დრო და მეგადინეობა ქმართებთ სახელ მწიფოთა წარმომადგენლებს, რომ მო ஐகிக்கத்திக் ஒன்று முக்கைக்கும், கிகிற ლები სწორედ ეხლა ეცდებიან თავიანთ დიპლომატიურის ნიგის გამოჩენას. გააგიანურონ იმ დრომდე, ვიდრე სა- ვე ხნის განმავლობაში გრილობისაგან სელმწიფოთა შორის რამე მიზეზისა მომკვლარა 85 ინგლისელი აფიტერი გამო უთანხმოება ჩამოვარდება. საფიქრებელია ეს მით უფრო, რომ ჩინეთის წარმომადგენელთა შორის ურევია ისეთი კაცი, როგორიც ლი ხუნკ ჩანგია, დიდის გკუის მატრონი და გამოცდილი დინლომატი, რომელთან ევრობიელი დინლომატები გამოსაჩენნი არც-კი არიან. ამიტომ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს დიდი სიმტკიცე ჭმართებთ, მათ არავითარი უურადღება არ უნდა მიაქტიონ ჩინელთა ხრიკებს და ეცადნენ საქმე რაც შეიძლება მალე გაათა

പാമം പാര്യാർ სა და კვრომიულ გაზეთებში დაბეჭდი ლია ტრანსვაალისა და ორანჟეს დებუ-Osgoot da Facilis. Ubgsons Jacob sa ofacjosdo cjanoscos lijal: "ado, რომელშიაც სამხრეთ-აფრიკის რესპუბ ლიკანი ძალად იქმნენ ჩათრეულნი, და რომლის თავიდგან აცდენასაც სცდილობ-இந்த முன்னை முரியாக விருவி விருவி விருவி წეობით, ஆர்க் კიდევ არ დასრულებულა. ინგლისელები პროკლამაციას პროკლამა ციაზედ სცემენ. ინკლისმა თავისის პირგელის მინისტრის პირით კანაცხადა, რომ მიწა-ადგილის მომატება არა მქო ნია აზრადაო. ეს ცარიელი სიტევები റിറ്റെങ്ങ് റ്റ് ട്രെയ്യില്ലെ ക്രി വിക്കു വി ერდვიათ და საქმით სხვა გაეკეთებინათ უკვე გამოაცხადეს სამხრეთ აფრიკა! რესპუბლიკათა შემოერთება. მაგრამ ასეთ გამოცხადებას ბურების დამორჩილება ം പ്ലോച്ചി തു

"ინკლისის კარის უფროსები სცდი ლობენ ისე მოექცნენ ბურებს, როგორც მეამბოხეებს. იმათ უნდათ სრულიად ამოს წუვიტონმოწინაადმდეგენი, გაანადგურონ, მიწასთან გაასწორონ იმათი სახლ-კარი. შემოერთებას აზრად მხოლოდ ესა აქვს და სხვა არაფერი.

მაგრამ, ღეთის შეწევნით, ინგლისე ლები ამ განზრახვას სისრულეში გერ მთიყვანენ: ორსავე რესპუბლიკის მოქალაქენი იმ დრომდე განაგრძობენ ბრძოლას, გიდრე სიცოცხლის ნიშან-წუალი სრულიად არ კამოელევათ.

- განა ჩვენ ვერ დავიმსახურეთ გისუფლება, სამშობლოს დამოუკიდებუ ლება? ნუ თუ ქვეუანა ნებას მისტემს, and Baylo beato bedamme განადგურებული? სულ რამდენიმე თვეა მას შემდეგ, რაც სახელმწიფოთ ფორ-მარულად მიიღეს ის მრინციპები, რო djeons sbese bobbeob egents es ომისაგან გამოწვეულ უბედურებათა შემცირება აქვთ. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, სამხრეთ აფრიკის ომში ჯერ არც ერთი სახელმწიფო არ ჩარეულა. ნუ თუ ეხლა მაინც არავინ არ აღიმაღლებს ხმას, ეხლა მაინც, როდესაც დიდი ბრიტანია "შემოერთებით" ფეხითა სთელავს სართა-შორისო უფლებას, ათას უკანოbondst theseat, asos tayense segsal დედამიწის ზურგიდგან თავისუთალ ხალ. bob bistomo, blogods.

" ჩეშმარიტების, კაცთ-მოევარეობის სახელით მიგმართავთ ყველას და ვთხოვთ, გაუწიონ დახმარება ამ გაჭირგებულ one by property of sessifications, განსაცდელისაგან ჩვენი სამშობლო.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკათა დეპუტაცია ფიშერი, გესსელი, გოლმარნი ". கைகுமிவிலில் கைவுரில் பிவிகைதில გამოაქვეუნა სამხრეთ.აფრიკის ომში Benjergens os oskacens Vos. sa Voceგანა სჩანს, რომ ერთის კვირის განმაგალობაში, 1-დგან 8 სექტემბრამდე, ბურებს მოუკლავთ სულ 283 ინგლისედა 779 კარის-კაცი, ტუგეობაშიაც 3 აფიცერი და 86 ჯარის კაცი მომკ-ദ്ലൂട്ടെ.

## 6363836000M6 8360360 შაბათს, 9 სექტემბერს, ტფილისის

სამოსამართლო მალატის პირველ სისხ. ლის სამართლის დეპარტამენტმა განიbows biddy Jymsolal and office by bisკის მაზრის სოფელ მახაშის მცსოგრეdons hazy babyat dol jabosmosto, oggდორე ლაზარეს ძის ჩავუსი და ჩაგუ ეგნატეს ძის ბუსკაძისა, რომელთაგან მირველს ორს გბრალდებოდა განძრაზ ტრუმოწმობა, სოლო ბუსკაძეს ამ მოწსაქმის გარემოება შემდეგია. ჩაგუ ბუს-പൂടർൂർ 1896 წლის აპრილში რავს სოფ. კატიანეთის მცხოვრების თომა გაგუას ორი ცხენი. გაგუას თაgolo Gbjbjdo dongbos Bnggogol dsb-க்கி மன். கிக்கிவர் நிரும் நிரைம் நிரும் நிரும் நிரும் நிரைம் நிர go zsdolmboslsk, madjelse zsbyცხადებია, რომ ეს ცხენები გასილ კვარაცხელიასაკან ვიჟიდეო. ხოლო კვარა-ცხელიას თავის მხრივ უთქვამს, ცხენები ვიჟიდე ჩაგუ ბუსკაძესაგანათ. ბ**უსკა.** ძე ქუთაისის ოლქის სასამართ<del>ლომ და.</del> მნაშავედ იცნთ ცხენების ქურდობაში, რისთვისას ჩამოართვა უოგელიგე უფლება და ციმბირში გარდასახლება მიუსა-35. sa Usjan joshogol good megal სასამართლოში დაბარებულმა მოწმეებმა ჩაგუ კანდარიამ (16 წლისა) და თეგდორე ჩავუმ (43 წ.) ფიცს ქვეშ აჩვენეს შემდეგი: კანდარიამ, — რომ ცხენები მან მოიმარა და მიჭეიდა ბუსკაძეს, ხოლო ჩაგუმ — რომ იკი დაესწრო იმ დროს, რონებს. ამისათვის კანდარია და ჩავუ, რთგორც ცრუ მოწმენი, ხოლო ბუსკაძე, როგორც მოწმეთა მომსვი გველი, nsolal desergendent doje styphol გებაში იქმნენ მიცემულნი.

meglob buludasamend 1898 Vaet gerenger of helps of capper of ნო სამივენი ადნიშნულს ბრალდებაში და გარდაუწევიტა: Bაგუ ეგნატეს ძეს ბუსკაძეს უოველისავე უფლების ჩამორთ. მევა და ენისეის გუბერნიაში გარდაგუს უოგელისაგე უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში resolution, bomes Best ხახუას ძე კანდარიას 1 წლით საპურობილეში დამატიმრება. სამოსამართლო პალატამ, რომელმაც შაპათს, 9 godogodo, zebobowe gli leston, sodაშავედ იცნო სამიგე ბრალდებული და zibosmoslis os Bigyl Tylistyd osidojoცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, ხოლო ბუსკაძეს ენისეის გუბერნიაში გა-დასახლების მაგიგრად მიუსაჯა ჰატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა 2 წლით და 10 თვით.

#### 8785M29 838560036, 8785. M&S!..

იშვიათი არ გახლავს, ჩვენებურ წინდელ მკითხველთა და მწერალთ საუბარი, საყველპუროც-კი, ლექსთა თხზულებით მეტად ჰშორავს იმ ბუ ნება-შეურყვნელ მდაბიურ ქართულს, რომელიც თაფლისებრ ტკბილი გა. მოსჩქეფს ჩვენის ერის ბაგეთაგან. საერო შაირ-სიტყვაობის არ ამ მდაბიურ საამბო თუ სასაუბრო ენასაც თავისი მშვენიერი ლი აფიცერი და 2683 ჯარის-კაცი. ამა- პლასტიკა აქვს და მწერალს იდე

პლასტიკის გადმონერგვა წიგნის ენა- მალი გუდაში ჩაისვა და გამოჰსწია. ში, ისე-კი, რომ ზრდისა და განვითარების დროს უცხო მწერლობის გავლენით არ გადაგვარდეს. ჩვენის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზედ ერის გონების ნაწარმოები: შაირი, ამბავი, თუ ცალკე ლექსიკონი, ვით ოაზისი უდაბნოში, აღსავსეა მაცხოვარებით და უეჭველია მისი წამკით ხველი ეზიარება ხალხის ბუნებას და მის სულიერ საუნჯეს. ამიტომ რაც ბევრი დაიბეჭდება ასეთი ნაწარმოები, იმდენი კარგია: ერის გონებას, შეbounubengl მოქმედობით ძალას უხანგრძლივებს, მისი მუდამ ჭაბუკად შემნახველია დაჩვენცა გვრგებს, რადგანაც ტკბილ ქართულს გვას. წავლის. თორემ ზოგიერთებს გარ და, აწინდელის ჩვენის მოღვაწის ნაწერს რო ვკითხულობ და ლაპა. რაკს ყურს ვუგდებ, გულს მიკლავს მათი შესუდრვა უცხოეთის მავნე გავლენით და, ვგონებ, რომ დიდი ხანი ალარ უნდა, წმინდად მოვწყდეთ ჩვენს ერსა, ისე, როგორც მეთვრამეტე საუკუნეში დაემართა ზოგიერთ ჩვ ნებურ ბიზანტიელებს, რუსთველ თმოგველის, დავით გურა მიშვილ-საბა ორბელიანის და სხ., ამათეზურ მნათობთა ენა რო დაჰგმეს. საერო ზლაპრების ბეჭდვა თი თქოს შეჩერდა ამ უკანასკნელ ხანში და სამწუხაროდ უნდა მივიჩნიოთ რომ კვლავ კიდე ხელი არ მიჰყონ ამ კეთილ საქმეს და განსაკუთრებულის მეცადინეობით აზღაპრის ენის აგებულების სიკეთე სინამდვილით ാന ാന്രാരുന്ന് നേട്.

ვერ აღვიარებ, რომ ამ წინამდებარე ზღაპრის ჩაწერით საერო საუბრის პლასტიკას მივსწდომოდე, მა. გრამ გამოვაქვეყნე, რაკი დარწმუნე ბული ვარ, რომ უფროს ერთი ჩვენებური მკითხველი სიამოვნებით შეხვდება და სხვები კიდე უკეთესად დაწერილს მიაწვდიან ხალხს. 8mgn ერთმა მაღალ ფარდების მოყვარე ვაჟბატონებმა სთქვან, საქმე გამოლევია, გონეპისთვის რისი მაქნიbrom. ho grymon, obg bad Johnnyლის ძველი სიტყვა-კაზმულის მწერლობის ნაწარმოებთა შესწავლასაც დასცინიან და მერე რა გაარიგეს ამით: შინ და გარეთ გამოწყდნენ მამულს ჩამორჩენილნი უცხოეთს ვერ ეწივნენ.

მელა და მატარძალი (ვუძლვნი პატარა თინათინებს, შალვებს თამარებსა და არჩილებს)

ერთხელ მელას გუდით ბალი მიჰქონდა, გზაში შემოა. ლამდა, მივიდა იქვე ერთ გლეხკაცთან და უთხრა, მასპინძელო, ამალამ ლამე გამათევინე და ეს გუდაც შემინახეო. მობრძანდი, შენი ქირიმე, სტუმარი ღვთისა არისო, და გუდა ოართვა. მელას მოუსვენეს მასპინძელმაც მოისვენა. გუა ღამე რომ გადავიდა, სტუმარი ჩუმად წამოდგა, გუდა მონახა, დააცალიერა და ისე დააგდო, ხორმალი-კი ქათმებს დაუყარა. გათენდა თუ არა მასპინძელს უთხრა, შინ უნდა გიახლოთ და ჩემი ქათმის საქმელი მიბოძეთო. შენი ქათმის საქმელი მა. მალს შეუქამია და ცალიერი გუდა გდიაო, უთხრა გლეხმა. მაშ თუ ეგუბრძანა მელამ, რას იქდა გლეხი, ძალი ამოაცალეს, მიაფანიერეს და გამგეობა მინდობილი ექმნება რუსს ტეხ-აიღო, მისცა მამალი და გუდაც გა-მაგიერ ძაღლის ლეკვი ჩაუსვეს. მე-

ლად უნდა ჰქონდეს დასახული ამ მოუტანა. მელასაც ის უნდოდა. მა-

ცოტა იარა თუ ბევრი იარა, კი. დე განგებ დაიღამა და მივიდა ერთ გლეხისას. ამაღამ თავი შემაფარებინე და ეს მამალიც შემინახეო, უთ ხრა მასპინძელს. მაშინვე მამალი ჩა მოართვა და შეუნახა. ნავახშმევს, გლეხის სახლობა რომ ღრმა ძილში იყო, მელა სულგანაბით წამოდგა, მამალთან ჩუმად შევიდა, დაარჩო და ცხვარ ქვეშ შეაგდო. გათენდა. მელამ წასვლა დააპირა და თავისი მა მალი მოიკითხა. გლეხი დაღონდა, მამალი რო მკვდარი ნახა, და მელას მოახსენა: რა ვქნა, შენი მამალი ცხვარს დაურჩვიაო. თუ ეკრეაო, მელამ უპრძანა, ის ცხვირი მე უნდა მომცეო. რას იქდა გლეხი, მისცა ცხვარი. მელამ bobshymno ჩამოართვა და წამოიყვანა.

ცოტა იარა, თუ ბევრი იარა, გზაში კიდე დაილამა. ერთ გლეხ. კაცს ეწვია და უთხრა: ამალამ თავი შემაფარებინე, და ეს ცხვარიც შემინახეო. მასპინძელმა მიიღო, მარი ღვთისაა, და ცხვარი ბოსელში შეაგდო. მელამ თავისი არ მოიშალა, ლამით ჩუმად წამოდგა, ცხვარი და. ირჩო და ხარ ქვეშ შეაგდო. დილა, რო გათენდა, ცხვარი მოიკითხა, მასპინძელმა დაღონებით მოახსენა, შენი ცხვარი ხარს დაურჩვიაო. ეგრეა, უბძანა მელამ, ის ხარი უნდა მომცეთო. მეტი რა ღონე ჰქონდა, გლეხმა აიღო, მისცა ხარი. მელამ ჩამოართვა და სიხარულით წამოიყვანა.

ცოტა იარა, თუ ბევრი იარა, გზაში კიდე შემოაღამდა და მივიდ ერთი გლეხი-კაცის კარსა. თურმე ქორწილი ჰქონდათ. ლამე გამათევინეო და ეს ხარიც შემინახეო, უთ ხრა მასპინძელს. მობრძანდიო, მოახ სენა და ხარი ბოსელში მელამ კარგად მოილხინა, ნაქორწილევს ყველა რო ძილში იყო, მელ ფრთხილად წამოდგა, პატარძლის კაბასთან ფეხაკრეფით მივიდა და დანა ამოაცალა ჯიბიდამ. მერ შე წავიდა, ხარს ყელი godnut რა და სისხლიანი დანა პატარძალს ჯ ბეშივე ჩაუდო. დილა რო გათენდა, ადგა, თავისი ხარი მოიკითხა მომგვარეთ, შინ უნდა გიახლოთო გლეხი ბოსელში boto შევიდა, მკვდარი დაუხვია და მეტად და ღონდა. რა ვქნა, შენი ხარი ყელ გამოქრილი გდ-ა და არ კვიცით ვი ნა ვქნაო, მოახსენა მელასა. ეგ რა ჩემი საქმეა, ვისაც ჯიბეში სისხლი ანი დანა ამოაჩნდება, ის უნდა მომ. <u> ცეთო, უბძანა მელამ. ყველას უნა-</u> ხეს ჯიბეები და პატარძალს კი ამო აჩნდა სისხლიანი დანა. რას იქდნენ იილეს, მისცეს პატარძალი. მელან ჩამოართვა, გუდაში ჩაისვა, ზურგ ზედ წამოიკიდა და სიხარულით გა ასწია. მიდის და მიიმლერის:

ხორბალი გავცვალე მამალში, მამალი კაი ცხვარში, ცხვარიც კაი ხარში, bahn son Joman.

ახლო ყანაში მეგუთნეები იყვნენ სიმლერა მოესმათ. მელი აქ მოდი ეგ გუდა აქ დასდე და ცოტა ლი მოგვიტანეო, დაუძახეს. მელ მივიდა, გუდა დასდო, ცხრილი ჩამოართვა და წავიდა წყლის მოსატანად. მეგუთნეებმა, ნახეს რა მელას რეა, ის მამალი მე უნდა მომცეო, წასვლა, გუდას მოხსნეს, პატარ-

ვერ ამოიღო, აბა ცხრილს რა გაავსებდა! კარგი, ნუ ეწვალები, თა ვი დაანებე, აქ მოდი, ავასძახეს მელას. მოვიდა, გუდა მოიკითხა, ზურგზედ წამოიკიდა და გასწია. მიდის და კიდე მიიმღერის:

ხორბალი გავცვალე მამალში, მამალი კაი ცხვარში, ცხვარი კაი ხარში, botho son Jom Bo, მოდი ერთი, პატარძალო, გაკოცო კაი თვალში.

და რა გუდას პირი მოხსნა და კოცნა უნდოდა, ძაღლის ლეკვი მივარდა და ცხვირ პირი გამოაგლი ჯა. შეშინებულმა მელამ აგდო გუდა ხელიდამ, ლეკვი მეგუთნეებთან გაიქცა, გუდაც იმათ დარჩა. პატარ ძალი მეზობლისა იყო და თავისს პატრონს ჩააბარეს. მელა-კი გამწარებული გარბოდა.

ჰეტრე მირიანაშვილი

#### 67660C-80800030C8306

(ამოკრებილი ამბები)

ნიუ.იორკში სცხოვრობს ერთი დაუფასებელი ძაღლი. სახელად ამ ძა ოლს ჟიპი ჰქვიან, კაცი ყოველ დღეს შეხვდება ჟიპის ქუჩებზედ, სადაც უფრო მოძრაობაა. ზურგზედ ძაღლს პატარა ყუთი აქვს მიმაგრებული, რომელსაც ზევიდგან აწერია: "შესწირეთ რამ ბავშგთა დოცნთავა და ბიოათ დოცნ ინოდოცნთავათ ბავშვებს". ამ თხოვნას გამვლელ-გამომვლენი სიამოვნებით ასრულებენ, ამას წინად ძაღლმა ორ გინალური იუბილეი გადაიხადა. შვიდი წლის განმავლობაში ძაღლმა 50 შეაქუჩა. ფულს ჟიპი ასე თასი მანეთი ჰკრებავს: რამდენსაშე საათს ქუჩაში დარ ის, შემდეგ ხაზინაში მიდის, სადაც ხაზი ნადარი ყუთს აღებს და ფულს იღებს იქიდგან, იმის ნაცვლად ბარათსა სდებს. მერ ძალლი ამ ბარათით საავადმყოფოში დის, სადაც კარგ სადილს შეექცევა ხოლმე.

სტატისტიკამ უკვე გამოარკვია, რომ სამხ რეთ ქვეყნებში მოხუცთა რიცხვი უფრო დი დია, ვიდრე ჩრდილოეთ ქვეყნებში. გერმა როგორც უკანასკნელ აღწერიდგანა სჩანს, 55 მილიონ მცხოვრებზედ ასი და მეტის წლისა მხოლოდ 78 კაცი მოდის, საფრანგეთში, სადაც 40 მილიონი მცხოვრებია, ას სა და მეტის წლისა 218 კაცია. ში—146, შოტლანდიაში—46, შვეციაში —10, ნორვეგიაში—23, ბელგიაში—<u>5</u> ესპანიაში—18 მილიონ მცხოვრებზედ 401 კაცი მოდის, სერბიაში—21/2 ონზედ 575 კაცი. ყველაზედ უხნესი დღეს მთელ დედამიწაზედ რიო დეჟანეი ში (სამხრეთ ამერიკაში) სცხოვრობს ტუგალელია, სახელად ბრუნო კოტრინი. კოტრინი ამ ჟამად 150 წლის კაცია.

ერთ საპედაგოგიო ჟურნალში დაბეჭდი ლია საინტერესო ცნობები იმის Balabag. თუ თვითოეულ სახელმწიფოს ხაზინა რამ დენ ფულსა ჰხარჯავს სწავლა-განათლებაზედ. მოგვყავს ეს ცნობები:

ინგლისი 40,000,000 მცხოვრები—სწავ ლა-განათლებისათვის ხარჯავს 115,850 ათას მანეთ', საფრანგეთი-38,518,000 —ხარჯავს 90,000,000 მანეთს, პრუს 32,000,000 მცხოვრები, ხარჯავს—50,000 თას მანეთს, ავსტრო-ვენგრია—45,220,000 მცხოვრები, ხარჯავს 35,000,000 მანეთს იტალია—31,300,000 მცხოვრები. ჰხარ ჯავს—30,000.000 მანეოს, რუსეთი -130,000,000 მცხოვრები, 26,441,000 მანეთს.

ლუდი, როგორც ღვ-ნოზედ უფრო იაფი სასმელი, ევროპის გარეშეც ვრცელდება სხვათა შორის ამ სასმელს თან-და-თან ჩინე ლებიც ეტანებიან. გონკონგში უკვე განუზ რახავთ ლუღის ქარხნის გამართვა ადგი. ლობრივ საკანონმდებლო საბჭოს წევრის ეეი-ა-იუნის მეცადინეობით, აზრადა 3,130 ქარხანა საუკეთესოდ მოაწყონ. ქარხნის

ამას წინად ამერიკაში დაიწვა ერთი დ დი წუმწუმის ქარხანა, სადაც დღეში წუმწუმას ამზადებდნენ. ამაზედ დიდი ქარხნები წუმწუმისა მხოლოდ შვეკიაში არსებობს. სკარბორგის პროვინციაში არსებობს პატარა ქალაქი ტიდახომი. მცხოვრებნი ამ ქალაქისა, თითქმის ყველანი, "ვულკანი"-ს ქარხანაში მუშაობენ, რ მელიც წუმწუმის "უდიდესი ქარხანაა მთელ დედამიწაზედ. ყოველ დღე ამ ქარხანაში 200 მილიონი წუმწუმა მხადდება, ე. ი 900,000 კოლოფი, რაიცა წელიწადში 73 მილიარდს წუმწუმას შეადგენს. ქარხანაში 800 მანქანა მუშაობს. იმ იარლიკების წო ნა, რომელსაც წუმწუმის კოლოფზედ აკრა ვენ, წელიწადში 7,750 ფუთს უდრის; წებო ამავე კოლოფებს 1,125 ფუთი უნ-

ამერიკაშიაც ბევრი ყოფილა წინააღმდეგი იმისა, რომ ქალებმა ვაჟების ტანისამოს ჩაიცვან ხოლმე. ქალები უმთავრესად ამტანისამოსს მაშინ იცვამენ, როდესაც ველოსი პედით დასეირნობენ. განსაკუთრებით მამა კაცებს ქალების განიერი შარვალი არ ლევს მოსვენებას. აი ამას წინად რა მომხდარა ვაშინგტონში. ქ-ნი რედმანი და იმისი ერთი ამხანაგი ქალი ველოსიპედებით ქუ-ჩაში მიდიოდნენ. წინ ქ-ნ რედმანის ქმარი შეჰხვედრიათ ქალებს. ქმარს ჯერ საყვედუ ხი გამოუცხადებია ცოლისთვის იმის გამო რომ იგი განიერ შარვალს იცვამს და როდ ქუჩაში გამოდის, შემდეგ-კი ისე გაბრაზებულა, რომ ორი-სამი კარგებისაც უთავაზ. ნია. ქ-ნ რედმანს ამხანაგი ქალი მიჰშველებია, მაგრამ ქმარს არც იმისთვის უწყენინებია და ერთი ორჯელ წაურტყავს მუშტი. გაჯავ. რებულ ცოლს მოსამართლისთვის მიუმარ. თავს, მაგრამ მოსამართლეს არამც თუ რიმა არ გადაუწყვეტია ქმრისთვის ქუჩაში წესიერების დარღვევის გამო, როგორც ეს კანონით არის მიღებული, არამედ გრძელი იტყვაც წარმოუთქვამს და ქება-დიდები მოუხსენია ქმრის საქციელი. "ძალიან ვწუხვარ, —უთქვამს დასასრულ მოსამართლეს — რომ არ შემიძლიან დავაჯარიმო თქვენი მეუღლე განიერის შარგლის ტარებისათვი-

#### ᲡᲐᲘᲡᲢᲝᲠᲘ**Ო ᲓᲐ ᲡᲐ**ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐ-30m 8060m030

(წერილი: ოდ) (დასასრული \*) განუთფილებისათვის.

.განეყოფვის უკვე სახე კაცისაჲ სახეს ცხენისასა სიტყვიერებითა და უსიტყველთ ბითა, და იწოდების სიტყვიერობაჲ დ უსიტყვიერობაჲ არსებითად განყოფილებად. ეგრეთვე ყოველნი, რომელთა მიერ განეყოფვის სახე სახესა,—ბუნებითად და ებითად, და შემამტკიცებელად და სახის მოქმედებითად განყოფილებად და ვითარე ბად იწოდებიან. რომელი ესე საზელიდების ფილასოფოსთა მიერ უგანთვისებულად გან ოფილებად, ვითარცა უთვისაგანესი უნებისა წარმომადგინებელი. კუალად გა ნეყოფვის კაცი კაცსა ანუ ცხენსა, ანუ ძაღლი ძაღლსა: ვითარ რომელიმე არს გრძელ და რომელიმე რომელიმე ძუელ და რომელიმე ახალ, სხუაჲ კაცი ცნობილ და სხუაჲ ლელ. ესე ყოველნი არსებისზედად განყო ფილებად და ვითარებად ითქმიან, რომელ არიან შემთხვევითნი.

Jagobagagaooksogab

შემთხვევითი არს, რომელი იქმნებოდი და უჩინო იქმნებოდის თვინიერ გახრწნისა ქვემდებარისა, და კვალად რომლისაჲ შესა. ძლებელ არს მისივე ყოფაჲ და არა ყოფაჲ: და რამეთუ შესაძლებელ არს კაცისა თეთრ ყოფადეა და არა თეთრ ყოფაიჲ, ეგრეთვე გრძელ და ცნობილ და ნიშნოან ყოფაი ესეცა შემთხვევითი განიყოფების ორად საზოგადოდ განყოფილებად და განთვისე ელად განყოფილებად. საზოკადო ვიდრემე განყოფილებაი არს განშორებადი შემთხვე ი: ვითარ იგი ჯდის ვინმე და სხვაი დგის, შესაძლებელ არს უკვე აღდგომაი მჯდომარისაი მის და ჯდომაი gegmas.

ლა ბევრს ეწვალი, მაგრამ წყალი ნაში სულ 120 კაცი იქმნება, აქედგან 7 რისაი მის. ხოლო განთვისებულ**ი გან**-ვერ ამოიცოო, აბა (კხრიცოს რა გა-უვროპიელი და დანარჩენნი ჩინელნი. ყოფილებაი, არს განუშორებელი <mark>ზემ-</mark> თხვევითი, ვითარ იგი იყვის ვინმე ვან: რამეთუ შეუძლებელ არს განშორებაი მისგან ნიშნოვნებისაი.

ამას მოსდევენ განყოფილებანი: განთვისებისათვის შესმენილთათვის თანამოსახელეთათვის

რაჲ არსობითისა შესმენისათვის და რომელი რაჲ არსობითისათვის გუამოვნისა და უგუამოისათვის

არსებისათვის და ბუნებისა და ხატოვნეისა, განკვეთილისა და პირისა და გუამისა. განწვალებისათვის

ბუნებით უპირველესისათვის განსაზღვრებისათვის სახელ-მოდგამთათვის თანამოსახელეთათვის მრავალსახელთათვის სახელ ნართაულთათვის

ათთა ნათესავთა ნათესავთათვის, თანამონათესავეთა და თანა მოსახეთა, სხუა ნათე. სავთა და სხუა სახეთა, და რიცხვითა განიფილთათვის

შინაობისათვის არსებისათვის ბუნებისათვის ხატოვნებისათვის გუამისათვის 3-6-0000300 განუკვეთელისათვის გვამოვნისათვის განწვალებაი მყოფისა და არსებისაი რაოდენისათვის და რაოდენობისა რაისა მიმართვისათვის ვითარისათვის და ვითარებასა 105nbs cos შეხუდომისათვის მდებარეობისათვის სადისათვის ოდესისათვის Am 5gan bangal წინააღმდგომთათვის ანაგებისათვის და მოკლებისა უპირველესისა და უკანასკნელისათვის მყის თანადისათვის

უკუანათქმისათვის, უკუთქუმისა და წარქუმისა საზღვრისათვის და წინადადებისა და შეგულისსიტყვისა გუამოვნებითისა ერთებისათვეს.

მოძრაობისათვის

ვასრულებ ამ ამონაწერით: nander of the part of the service of the particular of the particu สดปุกขึ้งโร

სათანადო არს ცნობად, ვითარმედ წართქუმაიცა და უკუთქუმა უკუანა თქუმად იწოდებიან; წართქუმაი ვიდრემე არს დამ. ნიშვნელი ამისი, თუ რაი არს ვისიმე, ესე იგი არს, თუ რაი არს იგი ვინმე, ვი იგი ვითარმედ: სოკრატ ბრძენ არს, რატ იარების; ხოლო უკუთქუმაი ცხად მყოფელი ამისი, თუ რაი არა არს ვისიმე, ი. არს, თუ რაი არა არს იგი ვინმე, ვითარ იგი ვითარმედ: ესე ვინმე ბრძენ არს; ესე ვინმე არა იარების. ხოლო ვინაიდგან ყოველსა წართქუმსა წინააღუდგების უკუთქმაი და ყოველსა უკუთქუმსა წართქუმაი, —უკუ იქმაი წინა ალდგომი წათქუმისაი, და ნათქუმაი წინააღდგომი უკუთქმისაი-წინაგანსიტყვევად სახელ იდების; ხოლო ჯერ არს ცნობაი, ვითარმედ საჭიარს, რათა ერთი ტყუოდეს და ერთი ჭეშმარიტებდეს.

ამ მცირე მაგალითებიდამაც სჩანს, თუ რაოდენი მარკალიტი წუობილა, ოდენი უსაჭიროესი ტერმინი განბნეულია ჩვენს ძველს წიგნებში, და მათ მაგიერ-კი ჩვენ, ვინ იცის, რაგვარსა და სადაურს სიტუგებს გხმარობთ დღეს! ჯერ 1895 წელსვე ვამტკიცებდი, რომ საგიროა შეიკრიბოს საქართველოს კუთსეებში დაშთენილი — ადგილობრივნი სიტუვანი; და იკინი ჩაემატოს ჩვენს ლექსიკონსო. ამ კითხვას მხოლოდ დღეს ეღარსა კანხორციელება — გერ სანად მხოლოდ ა. მარაან.შვილისა და ი. რაზიკაშკილის მეთხებით. იმედია, მათ სხვებიც მიგბაძგენ. კაკელოხენში დაშთენილი სიტუვები ჩვენ უკვე დაგბეგო გიგიაკში "თადისადან გორგიკანიძე . აქ დავუმატებ კიდეგ, რომ ჩგენს

\*) იხ. "ივერია" № 196.

საერო ლექსიკონში შეტანილ იქმნას ქის მოურავი რეჟისი ალჟირის სააგრეთვე მეგრული და სვანური სიტუვე-ப்வுக. மகைக்களை க்கம், க்கி க்க இக்குக்க გოს არცა ერთი მარცვალი, განთესილი ქართველთა მოგირნახულე ტომ-მოდგმისაგან. უველა ამას უნდა დაემატოს გრეთვე ის სიტევებიცა, რომელნიც ჩვენს უწინდელ მოდვაწეებს უხმარიაი - tages of needer of the samples to კლებია, მეგრულ-სვანურ სიტევების შესახებ მით უმეტეს საგიროდ მიგვაჩნია രെ ag-VII - XII საუგ. წიგნებში გვხდება მრავალი სიტევა და ფორმა, გომელიც დღეს იხმარება მხოლოდ სა მეგრელოსა, სვანეთსა და ხანდახან სა კუთარს იმერეთშიაც, მაგალ. ჩაფლა, Jajs, das, Kingas (bsogessadal obas), რასათი (სარწეავი წელის კვერი), კემ. შელაობა (ცვრევა) და მრ. სხვ.

მ. ჯანაშვილი

(რუსეთის დეპეზათა სააგენტოსაგან) 9 სექტემბერი

3000687680. დეპეშა ადმირალის ალექსეევისა: "7 სექტემბერს ჩვენმა, გერმანიისა და საფრანგეთის ჯარებმა ჩემის ხელმძღვანელობით და გენერალთა შტაკელბერგისა და ცერპიცკის პირდაპირის უფროსობით, ხმელეთით აიღეს სიმაგრენი პეიტანისა. ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა 60 კაცისაგან შემდგარმა ესკადრის ნაპირის ჯარმა, რომელნიც იერიშის დროს წინ მიუძღოდნენ ჯარებს,მოკლული და დაქრილია 30-მდე მსრო ლელი ჯარის-კაცი

ტაძშ. რუსის ყაზახებმა ლი-ხუნგჩანგი რკინის გზის სადგურიდგან სასახლემდე გააცილეს. ეს სასახლე ერთ დროს ჩინეთის იმპერატორისა-

თვის იყო აშენებული.

ტონპუ. ლი ხუნგ-ჩანგი დღეს მო ვიდა; მისთვის საიმისო პატივი არ მიუციათ; მხოლოდ რუსეთისა და იაპონიის აფიცრები იყვნენ მასთან სანახავად. მეფის მოადგილეს ახლდა რუსის რაზმი და შვიდი კაცი თა ვისს ამალისა. ლი-ხუნგ-ჩანგი საგანგებო მატარებლით ტიან-ძინში

პრეტორია. რობერტსი დაბრუნდა, როდის წავა ინგლისში, ნამდვი

ლად არ იციან.

303060. ინგლისის ჯარი იმდენად შემცირდა, რომ იმ რაზმში, მელსაც აზრადა ჰქონდა "დიდი მუ შტი" გაეფანტა, მხოლოდ ოთხასი კაცი ქვეითა ჯარისა და 50 ცხენოსანი იყო. ამის გამო რაზმის გაგზა.

ვნა გადაიდვა.

ინგლისისა, ამერიკისა და საფრან. გეთის მისსიონერებისა და მათის ცოლ-შვილის დახოცვის დაწვრილებითმა ამბავმა თავ-ზარი დასცა ყველას; როდესაც შანსის პროვინციის გუბერნატორად იუხოენი დაინიშნა, ინგლისის მთავრობამ პროტესტი არ განაცხადა. მისსიონერთა ნაღვაწი მთლად გაუქმდა პეკინსა და ყვითელ მდინარის შუა მდებარე პროვინცი

303060. დღეს დილით ამერიკისა და ინგლისის ჯარებმა პეიტაჯოუ დაიპყრეს.

პარიში. ქალაქის მოურავების ნადიმზედ, როდესაც ალჟირის ქალახელით მიესალმა რესპუბლიკას; საწინააღმდეგო და სამეგობრო დემონსტრაცია მოხდა. პოლიციამ რეჟი დარბაზიდგან გაიყვანა

პარიში. ქალაქის მოურავების ნადიმზედ ლუბეს ხშირად აწყვეტი ნებდნენ სიტყვას აღტაცებულის ტა შის ცემით. ნადიმს შემდეგ პრეზი დენტი მხურვალე მანიფესტაციით გააცილეს. ძლიერის ხმაურობით მი აცილეს ლუბე ელ სეს სასახლე

10 სექტემბერი

სიმბირსპი. სადგურ ბაზარნაიაზე 36 ვაგონიანი საქონლის მატარე ბელი მუშების მატარებელს დაეჯა ხა. პირველ მატარებელში დაზიან და ლოკომოტივი, მეორეში დაჭრი ლია ორი მუშა.

აელნი. "კელნის გაზეთი" სწერს: "გერმანიის წინადადებას იმის შესახებ, რომ უმთავრესი დამნაშავენი ჩინელების აჯანყებაში, დასჯილ იქმნენ, ზარალის ზოვევის საკითხთან საერთო არაფერი აქვს; ამ წინადადების აზრი მხოლოდ ის არის, რომ ომავალში ეპვროპიელთ ამოჟლეტა იაცდინოს; ამ წინადადებით გერმა ნიას ჰსურდა დაენახვებინა ჩინეთის მთავრობისათვის, რომ თუ დედოფალი უარს იტყოდა და არ დასჯიდა დამნაშავეთ, ამ შემთხვევაში თვით დედოფალი იქნებოდა პასუხის მგე-

პარიში. დელკასემ პიშონის დეპეშა მიიღო, რომელშიაც ნათქვამია, რომ ფოსტას დაგვიანებით და უწეს რიგოდ მოაქვს პეკინში კორრესპონდენციაო. რუსეთის ინჟენერები რკინის გზის ლიანდაგს ასწორებენ კინსა და ტიან-ძინს შუა; ამ გზით უნდა მოვიდეს პეკინში ჯარებისთვის სამყოფი სურსათი. პიშონი იტყო ბინება, რომ პეჩილიის პროვინცია ში ჩინელთ 3 იეზუიტი, 2 იტალი ელი ეპისკოპოსი, 1 ფრანგი ბერი ფრანცისკის ორდენისა, შვიდი ევროპიელი ბერ-მონაზონი და პრო ტესტანტთა რამდენიმე პასტორი მო უკლავთ. პიშონი ირწმუნება, რომ ყველა ამათ გუბენატორის ბრძანებით თავი მოჰკვეთესო.

11 სექტემბერი

3000 ბურბი. უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ რუსეთის საიმპერატორო მისსია, რუსეთის სამ ხედრო რაზმი და რუსეთის ქვეშევრ. დომნი გადავიდნენ პეკინიდგან ტიანძინში, ნაუწყები 12 და 13 აგვის ტოს დეპეშებში, რუსეთის ელჩ ს მიერ ტელეგრაფის გაფუჭების გამო მიღებულ იქმნა 23 აგვისტოს რუსეთის ჯარების უფროსის მიერ 24 აგვისტოს. ელჩმა გირსმა და გენერალმა ლენგვიჩმა მაშინვე ყოველივე ოონისძიება იხმარეს უმაღლესის ბრძანების აღსასრულებლად; საიმპერატორო მისიის ზოგიერთნი წევრნი და საექსპედიო რაზმის პირვე ლი ნაწილები უკვე გავიდნენ ტიანძინისაკენ.

303060. რუსეთის ქვეითა ჯარი და ერთი ბატარეია ტიან-ძინს წავი

LM303. bagoobs, gomod-damo სა და სლივნიცის დივიზიების ჯა რის-კაცნი, რომელთაც სამსახურის ვადა შეასრულეს დათხოვნილ იქმნენ.

გაშინგტონი. მთავრობა ხვალ გამოაქვეყნებს ნოტას, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ სამხედრო ძალა შეერთებულ შტატებისა განსაზღვრულ იქმნება საელჩოს ძლიერ დამცველ ჯარით, რომელიც უზრუნველ-ჰყოფს მისს უშიშროებას, თუ ვინიცობაა ახალი უწესოებანი მოხ. და, ან საელჩო გადატანილ იქმნა ტიან-ძინსა ანუ სხვა ქალაქში. განზრახული აღარ არის ჯარის ხმარება საშემდეგისო სატევ მოქმედებათა თვის და ამ აზრით მისი ვალდერზეეს ბრძანებლობის ქვეშ დაყენება ბრძანება ჯარის რიცხვის შემცირე ბის შესახებ ჯერ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ შეიძლება ყოველ წუთს გამოცხადებულ იქმნას

ათინა. პრინცი გიორგი მოვიდა რიტოსის კუნძულიდგან მისის ჩა მოსვლის დროს მის აფიცრად ნამყოფი, როგორცა სჩანს ქკვათა არ მყოფი, მოეჭიდა იმ ეტლის სადავეებს რომელშიაც პრინცი და სხვანი პრი ნცნი ისხდნენ. ეს კაცი დაუყოვნებლივ დაპატიმრებულ იქმნა და რევოლვერი უპოვნეს.

**8**ე შენგტონე. როგორც ზღვათა სამინისტრო აცხადებს, ამერიკის საელჩოს ჯარები ჩინეთში, თუ გარე. მოებამ ხელი შეუწყო, შესამჩნევად შემცირებულ იქმნება, ხოლო აზიის წყლებზედ საზღვაოსნო ძალა თანდა-თან გაძლიერებულ უნდა იქმნას. ამერიკის ინტერესების დასაცველად ჩინეთში და ფილიპპეს კუნძულებზედ დანიშნულია მცირე სამხედრო გემები "ანნაპოლი", "ვიქსბურგი" "ვილლინგტონი" და "დოროტეია" ჯავშნიანი ხომალდი "კენტუკიU" ჩინეთის წყლებშია გაგზავნილი, ხო. ლო სამხედრო გემი "ალბანი" — მანილლაში.

**80806** ჰტონი. მინისტრმა გამოა ცხადა გერმანიისა და ჩინეთის მიმართ წარგზავნილი ნოტები იმ მდგომარეობის შესახებ, რომელსაც დაიჭერს შეერთებული შტატები. გერმანიის პასუხად ნათქვამია, რომ ძალმომრეობის დამწყებთა დასჯა, რასა კვირველია, არსებით გარემოებათ არის მიჩნეული, რათა აცილებულ იქმნას თავიდგან ამ ძალ-მომრეობათა განმეორება. ხოლო მაინც აქ იმ აზრისანი არიან, რომ ვერავითარი დასასჯელი ლონისძიებანი ისე ვერ იმოქმედებს, როგორც ის სასჯელი, რომელიც დადგენილ იქმნება თვით იმპერატორის მთავრობის მიერო. აქ ამბობენ, რომ სამართლიანობა მოითხოვს ჩინეთ! შემთხვევა მიეცეს ასეთის გზით ალიდგინოს თა ვისი უწინდელი უფლებანიო. ამერიკის მთავრობა იმ აზრისაა, რომ დასასჯელ ღონისძიებათა ხმარება ohlydooso dohadoe hologomal, რომლის განხილვა შეიძლება მხოლოდ საგნის საბოლოოდ კარდაწყყვეტის დროს. ჩინეთის მიმართს პა სუხში ლიხუნგ-ჩანგი და პრინცი ცინი მიჩნეულ არიან რწმუნებულებად და კონჯერს ეცნობება ნება-რთვა დაიწყთს მათთან დამოკიდებულება. ნოტები მოკლედ არის დაწერილი და, თუ მხედველობაში იმათს მნიშვნელობას მივილებთ გერმანიის მიმართს ნოტაში სიტყვები შერჩეულია თითქოს უარ-მყოფელ პასუხის შესარბილებლად.

**\$36000 630343006 808360** 

წარსულ მარიამობისთვის 15 ს აბასთუმან ში ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგა დოების დედათა სკოლის სასარგებლოდ უსულ-ქართული წარმოდგენა გაიმართ ბილეთების გაყიდვისაგან შემოვიდა 355 მ. 80 კაპ. და სხვა-და-სხვა კაცთაგან შემოწირულობა—20 მ., სულ 375 მ.და 80 კ იმ ფულიდგან წარმოდგენის გამართვაზედ დაიხარჯა 95 მ. 75 კ., ასე რომ წმინდა შემოსავალი დარჩა სკოლას 280 მ. და 5

ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობა თავისს სასიამოვნო მოვალეო ბათა სთვლის უგულითადესი მადლობა გა მოუცხადოს: კნეინა ე. ო. ქოჩაკოძისას, კნეინა მ. ამირეჯიბისას, ქ-ნთ მ. ვ. მაჩაბელს ნ. ი. ტომაშევიჩისას და ე. გ. ასათიან ბბ. ი. ს. გოგებაშვილს და ნოე ჟორდანიას, ყველა მონაწილეობის მიმღებს პიესაში და აგრეთვე ყველა იმას, ვინც-კი რაიმე დახშარება და შემწეობა აღმოგვიჩინა ამ კეთილს

საზოგადოების თავმჯდომარე მ. გამრე-

#### 63638360000 G603030.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული. Bangge babbeat bedenoeat egisanტამენტში:

12 სექტემბერს

ივანე დავითის ძის სარაჯაშვილისა და ალექსანდრე მარკოზაშვილისა, რომელთაც სასჯელ. დებ. მე 996 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ბრალდებათ.

კაცია ციციბავასი, რომელსაც სასჯ. დებ. მე 1647 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

## 97<u>29</u>87699720

Zegamalal Jomes Job zodzamos

აცხადებს, რომ მისის თანადაწრებით ამა წლის 12 სექტემბერს, შუაღღის 12 საათზედ დანიშნულია

V Homer godfmerde,

ქალაქის პირველ ნაწილის კობიის ქუჩის მთლად ხელ-ახლად მოკირწყვლის იჯარით გასაცემად. ქუჩა სიგრძით არ**ის ს**ულ 123,01 საქ. და მთელი იჯარა უნდა გაიცეს 1087 მან. 40 კაპ.

ვაქრობის მსურველთ პირობათა შეტყობა შეუძლიანთ ქალაქის სააღმშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათა. (3-6.-3)

გამოვიდა ახალი წიგნები:

o) விரிம்வில் வாகிர்வும்

ფასი: ყლით 20 კაპ., უყლოთ 15 კ გ) ქართული მწერლოგა მე X

აუკუნგმდე, ფასი 40 კაპ. გ) Царица Тамара, ფასი 50 б) Груз. обители внъ Грузіи, з

25 a) Истор. груз. церкви, g. 40 3.

จึกธริงสิวารรดิกรโดง ปริเพตา ლო-სამეურნეო სასწავლებლი-65356

პირველ სექტემბრიდამ პირველ ოქტობრამდე ამა წლისა წინამძღვა- ერთი რიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო ლო.

სკოლაში მიიღებიან ჯანმრთელი ყმა-Fgrengan, she begenga sont Femole, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და არწმუნეობისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოას თავისი სურვილი სკოლის მმართველს, ანუ ზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრი შვილს (ნოტარიუსი ქალაქ ტფილისში), წარმოადგინოს წვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღყდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არიქნება. მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარ-ჩენ განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფე. რი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს; 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსულა ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეო-შეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მიკლე გეოგრაფია რუსეთისა და საზოკადო მიმოხილვა ქვეყნემი(ა, 5) ბუნების მეცნიერება, სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ქიის მოვლა მოშენება, მეფუტკრეობა სისოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნი, 7) ხატვი, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ლოსნობისა: დურკლობისა, მჭედmmdalis და ჩილინგრობისა (სლესაmanto).

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწივლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედმამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

შორის მხრიდგან მოკვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვარიანთკარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა boddob so bocogninobs ogno bymლის კრება განაგებს. თითო შეგირის შესანახავად დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა-სალამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით და სწავლის შემდეგ საcomo, ann johdo: blbom do boblosლო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ ყმაწვილებს საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც სურს მიაბაროს ყმაწვილი კოლის სადგურში, იმან უნდა წარსოადგინოს წინათ მთელი წლის შცსანახი ფული 84 მანეთი; უკეთუ შეგირდი წლის შესრულებამდე სადგურიდგან გავიდა, მაშინ ეს ფული უკან იმათ დედ მამას ალარ დაებრუნებათ და დარჩება სადგურის სასარandmano.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშიგები, ექვსი ხელი სა**ცვალი, პირსახოცები, ბალიშის პი**რები, ზეწრები და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხუ-